

გაწეული მუშაობის შესახებ

-----

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვმონაწილეობდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვისას. ჩემი აქტიური მონაწილეობით დაიწყო და დამთავრდა ლაჯანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება და ერთ კილომეტრ მონაკვეთზე სასმელი წყლის მილების გამოცვლა, რის შედეგად გაუმჯობესდა სოფ. ლაჯანის და სოფ. ორბელის მოსახლეობის ტყით მომარაგება.

სოფლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ ლაჯანის გარკვეული ნაწილის გარე განათებით უზრუნველყოფა.

ჩემი უშუალო თხოვნის საფუძველზე ქალაქის მერიამ რამოდენიმე სოფელში შეაკეთა შიდა სასოფლო გზები, კერძოდ ლაჯანასა და გაგულეჩში, ასევე მდინარე ლაჯანურის სანაპირო ზოლს გაუკეთდა 120 მეტრ სიგრძის ჯებირი. აქტიურად ვმონაწილეობ იმ პროექტების განხორციელებაში, რომელიც მოკლე დროში უნდა განხორციელდეს. მხედველობაში მაქვს ბეტონის გზის მშენებლობა.